

სს “ენერგოსერვისი”

ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(არააუდირებული)

სარჩევი

➤ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
➤ სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
➤ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	5
➤ ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები	6
1. შესავალი	6
2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები	6
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები	11
4. სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილება	12
5. ძირითადი საშუალებები	12
6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	12
7. ფული და ფულის ექვივალენტები	13
8. სასაქონლო მატერიალური მარაგი	13
9. კაპიტალი	13
10. სავაჭრო და სხვა მიმდინარე ვალდებულებები	13
11. შემოსავალი	13
12. წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან	14
13. სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	14
14. თვითღირებულების ხარჯი	14
15. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	14
16. მოგების გადასახადი	14
17. პირობები და ვალდებულებები	15
18. მენეჯმენტის ანაზღაურება	15
19. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები	15

სს „ენერგოსერვისი“

ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

სს ენერგოსერვისი

➤ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(თანხები ლარში)

		31.12.2021	31.12.2020
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	428,157	445,719
არამატერიალური აქტივები		1,395	2,093
სხვა გრძელვადიანი აქტივები			
		429,552	447,812
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	7	943,122	730,896
სავაჭრო მოთხოვნები და სხვა მიმდ. აქტივები	6	424,936	272,775
სასაქონლო მატერიალური მარაგი	8	179,905	173,214
		1,547,963	1,176,885
მთლიანი აქტივები		1,977,515	1,624,697
მთლიანი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი		73,112	73,112
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	9	1,734,210	1,524,634
		1,807,322	1,597,746
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა მიმდინარე ვალდებულებები	10	108,271	16,545
საგადასახადო ვალდებულებები		61,922	10,406
		170,193	26,951
მთლიანი ვალდებულებები		170,193	26,951
მთლიანი კაპიტალი და ვალდებულებები		1,977,515	1,624,697

გენერალური დირექტორი: ვაჟა ლომიძე / _____/

ფინანსური დირექტორი: დავით ლომიძე / _____/

26 სექტემბერი, 2022

თბილისი, საქართველო

შენიშვნები 6-15 გვერდებზე წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სს „ენერგოსერვისი“

ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

სს ენერგოსერვისი

➤ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(თანხები ლარში)

		31.12.2021	31.12.2020
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	428,157	445,719
არამატერიალური აქტივები		1,395	2,093
სხვა გრძელვადიანი აქტივები			
		429,552	447,812
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	7	943,122	730,896
სავაჭრო მოთხოვნები და სხვა მიმდ. აქტივები	6	424,936	272,775
სასაქონლო მატერიალური მარაგი	8	179,905	173,214
		1,547,963	1,176,885
მთლიანი აქტივები		1,977,515	1,624,697
მთლიანი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი		73,112	73,112
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	9	1,734,210	1,524,634
		1,807,322	1,597,746
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა მიმდინარე ვალდებულებები	10	108,271	16,545
საგადასახადო ვალდებულებები		61,922	10,406
		170,193	26,951
მთლიანი ვალდებულებები		170,193	26,951
მთლიანი კაპიტალი და ვალდებულებები		1,977,515	1,624,697

გენერალური დირექტორი: ვაჟა ლომიძე

ფინანსური დირექტორი: დავით ლომიძე



26 სექტემბერი, 2022

თბილისი, საქართველო

შენიშვნები 6-15 გვერდებზე წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სს „ენერგოსერვისი“

ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

სს ენერგოსერვისი

➤ სრული შემოსავლის ანგარიშგება

პერიოდი - 2021 წელი

(თანხები ლარში)

		2021 წელი	2020 წელი
შემოსავალი	<u>11</u>	1,900,719	394,404
თვითღირებულება	<u>14</u>	(888,211)	(207,996)
საერთო მოგება		1,012,508	186,408
დასაქმებულთა ანაზღაურება		(587,065)	(257,585)
ცვეთა და ამორტიზაცია		(27,761)	(21,103)
საპროცენტო შემოსავალი		14,694	45,086
იჯარის ხარჯი		(1,166)	(1,166)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	<u>15</u>	(30,249)	(21,555)
საოპერაციო მოგება		380,961	(69,915)
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:	<u>12</u>	(29,344)	80,517
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	<u>13</u>	12,759	684
ფინანსური ხარჯი - წმინდა		(16,585)	81, 201
მოგება დაბეგვრამდე		364,376	11,286
მოგების გადასახადი	<u>16</u>	(23,220)	-
წმინდა მოგება		341,156	11,286
სხვა სრული შემოსავალი:			
შემოსულობა მიწისა და შენობების გადაფასებიდან,			
გადასახადების გამოკლებით		-	-
ძირითადი საშუალებების (მათ შორის ბიოლოგიური აქტივის)		-	-
გადაფასების რეზერვი			
მთლიანი სრული შემოსავალი		341,156	11,286

გენერალური დირექტორი: ვაჟა ლომიძე / _____/

ფინანსური დირექტორი: დავით ლომიძე / _____/

26 სექტემბერი, 2022

თბილისი, საქართველო

შენიშვნები 6-15 გვერდებზე წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სს „ენერგოსერვისი“
ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

სს ენერგოსერვისი

➤ სრული შემოსავლის ანგარიშგება

პერიოდი - 2021 წელი

(თანხები ლარში)

		2021 წელი	2020 წელი
შემოსავალი	<u>11</u>	1,900,719	394,404
თვითღირებულება	<u>14</u>	(888,211)	(207,996)
საერთო მოგება		1,012,508	186,408
დასაქმებულთა ანაზღაურება		(587,065)	(257,585)
ცვეთა და ამორტიზაცია		(27,761)	(21,103)
საპროცენტო შემოსავალი		14,694	45,086
იჯარის ხარჯი		(1,166)	(1,166)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	<u>15</u>	(30,249)	(21,555)
საოპერაციო მოგება		380,961	(69,915)
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:	<u>12</u>	(29,344)	80,517
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	<u>13</u>	12,759	684
ფინანსური ხარჯი - წმინდა		(16,585)	81,201
მოგება დაბეგვრამდე		364,376	11,286
მოგების გადასახადი	<u>16</u>	(23,220)	-
წმინდა მოგება		341,156	11,286
სხვა სრული შემოსავალი:			
შემოსულობა მიწისა და შენობების გადაფასებიდან, გადასახადების გამოკლებით		-	-
ძირითადი საშუალების (მათ შორის ბიოლოგიური აქტივის) გადაფასების რეზერვი		-	-
მთლიანი სრული შემოსავალი		341,156	11,286

გენერალური დირექტორი: ვაჟა ლომიძე

ფინანსური დირექტორი: დავით ლომიძე



26 სექტემბერი, 2022

თბილისი, საქართველო

შენიშვნები 6-15 გვერდებზე წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სს „ენერგოსერვისი“

ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

სს ენერგოსერვისი

➤ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(თანხები ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2019 წლის 31 დეკემბერი	73,112	2,205,386	2,278,498
მოგება წლის განმავლობაში (მთლიანი სრული შემოსავალი)		11,286	11,286
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)		(984,908)	(984,908)
სხვა ცვლილება		292,870	292,870
2020 წლის 31 დეკემბერი	73,112	1,524,634	1,597,746
მოგება წლის განმავლობაში (მთლიანი სრული შემოსავალი)		341,156	341,156
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)		(131,580)	(131,580)
სხვა ცვლილება			
2021 წლის 31 დეკემბერი	73,112	1,734,210	1,807,322

გენერალური დირექტორი: ვაჟა ლომიძე / _____/

ფინანსური დირექტორი: დავით ლომიძე / _____/

26 სექტემბერი, 2022

თბილისი, საქართველო

შენიშვნები 6-15 გვერდებზე წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სს „ენერგოსერვისი“

ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

სს ენერგოსერვისი

➤ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(თანხები ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2019 წლის 31 დეკემბერი	73,112	2,205,386	2,278,498
მოგება წლის განმავლობაში (მთლიანი სრული შემოსავალი)		11,286	11,286
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)		(984,908)	(984,908)
სხვა ცვლილება		292,870	292,870
2020 წლის 31 დეკემბერი	73,112	1,524,634	1,597,746
მოგება წლის განმავლობაში (მთლიანი სრული შემოსავალი)		341,156	341,156
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)		(131,580)	(131,580)
სხვა ცვლილება			
2021 წლის 31 დეკემბერი	73,112	1,734,210	1,807,322

გენერალური დირექტორი: ვაჟა ლომიძე

ფინანსური დირექტორი: დავით ლომიძე



26 სექტემბერი, 2022

თბილისი, საქართველო

შენიშვნები 6-15 გვერდებზე წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სს ენერგოსერვისი

➤ ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

1. შესავალი

კომპანია და მისი საქმიანობა

სს ენერგოსერვისი (შემდგომში „კომპანია“) დაარსდა და საგადასახადო ორგანოში დარეგისტრირდა 1999 წლის 2 ივლისს. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის სააქციო კაპიტალი განაწილებულია შემდეგნაირად: ვაჟა ლომიძე - 40.002%, დავით ლომიძე - 29.999%, გრიგოლ ლომიძე - 29.999%. (2021 წელს განხორციელდა ცვლილება, 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის სააქციო კაპიტალი განაწილებული იყო შემდეგნაირად: ვაჟა ლომიძე - 63,002%, დავით ლომიძე - 36.998%.)

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს: გამანაწილებელი ობიექტების მშენებლობა ელექტროენერგიით და ტელეკომუნიკაციებით უზრუნველსაყოფად, ელექტრული მოწყობილობების რემონტი, სამშენებლო მანქანების და მოწყობილობების იჯარა ოპერატორთან ერთად, საბითუმო ვაჭრობა სამშენებლო მასალებით, საბითუმო ვაჭრობა სხვა მანქანებით და მოწყობილობებით. კომპანიის სათაო ოფისი მდებარეობს თბილისში.

კომპანიის იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისის, ძველი თბილისის რაიონი, ბარათაშვილის ქ., N2, მე-3 სართ.

წარმოდგენილი ანგარიშის ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. უცხოურ ვალუტაში გამოსახული მუხლები ყოველი საანგარიშო პერიოდისთვის გადაანგარიშდება ამ თარიღისთვის ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
1 აშშ დოლარი/ ლარი	3.0976	3.2766
1 ევრო/ლარი	3.5040	4.0233

2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო

სს „ენერგოსერვისი“

ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად. იგი წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც წარმოადგენს კომპანიის სამუშაო ვალუტას.

მსს ფასს სტანდარტის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების წარდგენა მოითხოვს სამეურნეო ოპერაციებისათვის და მოვლენებისათვის სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევასა და თანმიმდევრულ გამოყენებას. კომპანიის მიერ მსს ფასს-ის პირველად გამოყენების თარიღი არის 2018 წლის 1 იანვარი. კომპანია ფინანსურ ანგარიშგებას ამზადებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ გამოცემული სარეკომენდაციო მითითების მიხედვით „მესამე კატეგორიის საწარმოებისთვის და მესამე კატეგორიის ჯგუფებისთვის 2018 წლის ფინანსური ანგარიშგებისთვის მსს ფასს სტანდარტის პირველად გამოყენებასთან დაკავშირებით“ და კომპანიის მიერ წარდგენილი ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებებს 2021 წლის დასაწყისისთვის და დასასრულისთვის, 2021 წლის სრული შემოსავლის და საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას, შესაბამის განმარტებით შენიშვნებს.

ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მენეჯმენტის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებაზე. მენეჯმენტის შეფასებით, კომპანია გააგრძელებს ფუნქციონირებად საწარმოდ საქმიანობას, რეალიზებას გაუკეთებს აქტივებს და დაფარავს ვალდებულებებს ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში.

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ 2020 წლის მარტში გამოცხადებული COVID -19 პანდემიის გავლენის შემცირების მიზნით, საქართველოს მთავრობის მიერ მიღებულმა შეზღუდვებმა უარყოფითი გავლენა იქონია ეკონომიკასა და ადგილობრივ ბიზნესზე, კომპანიის საქმიანობის ჩათვლით. 2021 წელს კომპანია ნაწილობრივ დისტანციურ რეჟიმში ფუნქციონირებდა და ამჟამად კომპანიის ხელმძღვანელობა განაგრძობს COVID-19- ის შესაძლო ზემოქმედების მონიტორინგს რათა მოხდეს კორონავირუსით გამოწვეული თანდართული რისკების მინიმუმამდე დაყვანა.

კომპანიაზე ასევე შესაძლებელია უარყოფითი გავლენა მოახდინოს 2022 წლის თებერვალში რუსეთის მიერ უკრაინის წინააღმდეგ დაწყებულმა ომმა. კომპანიის ერთ-ერთი მომწოდებელი ფირმა არის უკრაინის რეზიდენტი. კომპანიამ გაწია გარკვეული სამუშაოები აღნიშნული უარყოფითი გავლენის შესამცირებლად, იგი აგრძელებს საქმიანობას, როგორც ფუნქციონირებადი საწარმო.

ფული და ფულის ქვივალენტები

ფული და ფულის ქვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკში და ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით. შემდგომ ხდება მათი შეფასება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გამოკლებული გაუფასურების რეზერვი. გაუფასურების რეზერვი იქმნება მაშინ, როდესაც არსებობს საფუძველი, რომ კომპანია ვერ მიიღებს თავდაპირველი შეთანხმებით განსაზღვრულ შესაბამის თანხას.

26 სექტემბერი, 2022

თბილისი, საქართველო

შენიშვნები 6-15 გვერდებზე წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები აღირიცხება მათ თავდაპირველ თვითღირებულებას, დაკლებული დაგროვილი ცვეთა ან/და გაუფასურების ღირებულებით. ძირითადი საშუალების თვითღირებულება შედგება შესყიდვის ფასისგან, მასთან დაკავშირებული იმპორტის გადასახადების, გამოუქვითავი გადასახადების და სხვა პირდაპირი ხარჯების ჩათვლით. ნებისმიერი სავაჭრო ფასდაკლება გამოაკლდება შეყიდვის ფასს.

მცირე შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე. ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის ან კომპონენტების ჩანაცვლებასთან კაპიტალიზირდება და ჩანაცვლებული ნაწილი ჩამოიწერება.

ყველა აქტივი წარმოდგენილია საწყისი ღირებულებით, გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

აქტივის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება მის აღდგენით ღირებულებამდე მაშინვე, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის სავარაუდო აღდგენით ღირებულებას.

ძირითადი საშუალებების ჩამოწერა/რეალიზაციიდან მისაღები თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით განსაზღვრული სარგებელი და ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში.

ცვეთა

კომპანია ფლობს მიწას, რომელზეც არ ხდება ცვეთის დარიცხვა. ცვეთა ძირითად საშუალებებზე გამოითვლება წრფივი მეთოდით, რათა მოხდეს მათი შესყიდვის ხარჯის გადანაწილება მათი სასარგებლო ვადის განმავლობაში:

სასარგებლო გამოყენების ვადა (წელი)

შენობა ნაგებობები	25-35
მანქანა დანადგარები	5-25
ავეჯი და ინვენტარი	5-25
სატრანსპორტო საშუალებები	6-25

ნარჩენი ღირებულება არის სავარაუდო ღირებულება, რასაც კომპანია მიიღებდა ამჟამად ძირითადი საშუალების გაყიდვიდან, გაყიდვის ხარჯების გამოკლებით. ძირითადი საშუალებების მოსახურების პერიოდი გადაიხედება ყოველწლიურად და იცვლება საჭიროების შემთხვევაში.

არასაფინანსო აქტივების გაუფასურება, მარაგების გარდა

აქტივების ნარჩენი საბალანსო ღირებულების გადამოწმება ხდება თითოეულ საანგარიშგებო თარიღში გაუფასურების ინდიკატორების შესაფასებლად და გაუფასურების შემთხვევაში, ის ჩამოიწერება ანაზღაურებად ღირებულებამდე, გაუფასურების ხარჯის აღიარების გზით. გაუფასურების ხარჯის გაანგარიშება ხდება აქტივის აღდგენით ღირებულებასა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობით. ანაზღაურებადი ღირებულება არის გამოყენების

სს „ენერგოსერვისი“

ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ეკონომიკური სარგებლის და სამართლიან ღირებულებას (გამოკლებული გაყიდვის ხარჯები) შორის უმეტესი.

გაუფასურების შესაფასებლად, აქტივები ჯგუფდება იმ დონემდე სადაც შესაძლებელია განცალკევებულად ფულადი სახსრების მოძრაობის იდენტიფიცირება. ყოველი სააღრიცხვო პერიოდის ბოლოს იმ არაფინანსური აქტივებზე, რომელიც გაუფასურდა, ხდება იმის შეფასება გასაუქმებელი ხომ არ არის გაუფასურების ხარჯი.

სესხები

სესხები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით (ეს არის ბანკში გადასახდელი ფულის დისკონტირებული ღირებულება რომელიც შეიცავს გარიგების ხარჯსაც). სესხების შემდგომი შეფასება ხდება ამორტიზირებული ღირებულებით. საპროცენტო ხარჯი გამოითვლება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით და აღიარდება ფინანსურ ხარჯად.

სესხები კლასიფიცირდება მიმდინარე ვალდებულებად, იქამდე სანამ, საწარმოს არ გააჩნია ვალდებულებების დაფარვის გადავადების უპირობო უფლება საანგარიშო პერიოდის შემდეგ სულ მცირე 12 თვის განმავლობაში.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებების თავდაპირველი აღიარებისას ფასდება ტრანზაქციის ღირებულებით და შემდგომ პერიოდში ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

იჯარა

იჯარა აღიარდება ფინანსურ იჯარად თუ ხორციელდება აქტივთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი რისკის და სარგებლის გადაცემა. სხვა დანარჩენი იჯარა კლასიფიცირდება როგორც საოპერაციო იჯარა.

კომპანია, როგორც მოიჯარე

საოპერაციო იჯარა განსხვავდება ფინანსურისაგან. საოპერაციო იჯარის გადახდები აღირიცხება შესაბამისი პერიოდის საოპერაციო ხარჯებად მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, წრფივი მეთოდით, იჯარის ვადის განმავლობაში.

შემოსავალი სამშენებლო კონტრაქტებიდან

სამშენებლო კონტრაქტებიდან შემოსავლის აღიარება ხდება დასრულების პროცენტული მაჩვენებლის მეთოდის გამოყენებით, რაც გამოითვლება ანგარიშგების თარიღისთვის ფაქტიური დანახარჯების პროპორციულად, მთლიან დაგეგმილ ხარჯებთან მიმართებით, თითოეული კონტრაქტისთვის.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი წარმოდგენილია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ან დასკვნის თარიღისთვის ამოქმედებული კანონმდებლობის მიხედვით. მოგების გადასახადი წარმოადგენს მიმდინარე გადასახადს და აღიარდება მოგება ზარალის ანგარიშგებაში, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ის პირდაპირ აღიარებულია კაპიტალში,

სს „ენერგოსერვისი“

ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

რადგანაც უკავშირდება ოპერაციებს, რომლებიც იმავე ან განსხვავებულ პერიოდში, ასევე პირდაპირ კაპიტალში აღიარდება.

მიმდინარე მოგების გადასახადი არის მიმდინარე ან გასული პერიოდის დასაბეგრი მოგების გადასახდელი ან ზარალის შესაბამისი მოგების გადასახადის აღდგენადი თანხა. იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნება ხდება საგადასახადო დეკლარაციების ჩაბარებამდე, დასაბეგრი მოგება ან ზარალი ეფუძნება შეფასებებს. გადასახადები, მოგების გარდა, აღირიცხება ადამინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯებში.

გადავადებული საგადასახადო შემოსავალი აღარ არის შესაბამისი ფინანსური ანგარიშგებისთვის განახლებული საგადასახადო კოდექსის გამო.

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

მარაგების ღირებულება განისაზღვრება უმცირესით თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის. მარაგების ღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება განისაზღვრება ნორმალური ბიზნესის მიმდინარეობის პირობებში გასაყიდ ფასსა და დასრულებისა და გაყიდვის მოსალოდნელ ხარჯებს შორის სხვაობით. ყოველ ანგარიშგების დღეს, მარაგები შეფასებულია გაუფასურებისთვის. თუ მარაგები გაუფასურდა, მისი საბალანსო ღირებულება მცირდება მის გასაყიდ ფასს გამოკლებული მისი დასრულებისა და გაყიდვისათვის გამზადების ხარჯი. გაუფასურების ზარალი მაშინვე აღიარდება მოგება-ზარალზე.

წინასწარ გადახდები

წინასწარი გადახდები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული გაუფასურების რეზერვით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირება გრძელვადიანად, როდესაც საქონელი ან მომსახურება, რომელიც სავარაუდოდ, მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან აღნიშნული წინასწარგადახდა უკავშირდება აქტივს, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას თავად კლასიფიცირებული იქნება გრძელვადიან აქტივად. აქტივების შესაძენად განხორციელებული წინასწარი გადახდები გადავა აქტივის საბალანსო ღირებულებაზე მაშინ, როდესაც კომპანია მიიღებს სრულ კონტროლს ამ აქტივზე და მოსალოდნელია ამ აქტივისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება.

სხვა წინასწარი გადახდები ჩამოიწერება მოგება-ზარალზე, როდესაც ხდება წინასწარ გადახდებთან დაკავშირებული შესაბამისი საქონლის ან მომსახურების მიღება. თუ არსებობს რაიმე სახის ეჭვი, რომ ვერ მოხდება საქონლის, მომსახურების თუ ძირითადი საშუალების მიღება, რომლისთვისაც წინასწარ გადახდილია თანხა, ამ შემთხვევაში ხდება აღნიშნული წინასწარ გადახდის ჩამოწერა მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალზე.

დივიდენდები

დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, გამოცხადებული საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე, გამჟღავნდება შემდგომი პერიოდის მოვლენების შენიშვნაში.

პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

ხელფასები, შენატანები საქართველოს საპენსიო და სადაზღვეო სისტემაში, წლიური შვებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ბონუსები და არა-ფულადი სარგებლები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესაძამისი სერვისის მიღება თანამშრომლების მიერ.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგებების მომზადება მოითხოვს მენეჯმენტის მხრიდან გარკვეული შეფასებების და დაშვებების გაკეთებას, რომელიც გავლენას ახდენს მოგების, ხარჯების, აქტივების და ვალდებულებების ღირებულებაზე და მათ შესაბამის შენიშვნებზე და პირობითი ვალდებულების შენიშვნაზე. უზუსტობამ აღნიშნულ შეფასებებში და დაშვებებში შესაძლოა გამოიწვიოს ისეთი შედეგი, რომელიც საჭიროს გახდის აქტივის საბალანსო ღირებულების მატერიალურ კორექტირებას ან გავლენას მოახდენს ვალდებულებაზე მომავალ პერიოდში.

საგადასახადო კანონმდებლობა

ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ მან ადეკვატურად გაითვალისწინა საგადასახადო ვალდებულებები საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების საკუთარი ინტერპრეტაციის საფუძველზე.

ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობა

კომპანია აკეთებს ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობის შეფასებას, სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით, როგორებიცაა: ტექნიკური ან კომერციული მოძველება, მოსალოდნელი წარმადობა, სიმძლავრე და ფიზიკური მდგომარეობა, რაც დამოკიდებულია ოპერაციულ ფაქტორებზე. მიუხედავად იმისა, რომ ხელმძღვანელობა ცდილობს მაქსიმალურად ზუსტად შეაფასოს ძირითადი საშუალებით გამოსახული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოდელი, ის შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს რეალური შედეგებისგან, რამაც შესაძლოა მატერიალური გავლენა იქონიოს ფინანსურ ანგარიშგებებში წარმოდგენილ მონაცემებზე.

სამშენებლო კონტრაქტის შესრულების პროცენტის შეფასება

კომპანია აღიარებს შემოსავალს სამშენებლო კონტრაქტების შესრულების პროცენტის მეთოდით, რომელიც განისაზღვრება საანგარიშგებო პერიოდამდე კონტრაქტზე გაწეული ხარჯის, მთლიანი კონტრაქტის განსაზღვრული ხარჯის წილის შესაბამისად და როდესაც ანაზღაურების მიღება საიმედოდ უზრუნველყოფილია. იმ შემთხვევაში, თუ კომპანია ჩათვლის, რომ ოპერაცია ვერ აკმაყოფილებს აღიარების კრიტერიუმს, შემოსავლის აღიარება გადაიდება პირობის შესრულებამდე.

შესრულების პროცენტის მეთოდი განისაზღვრება მენეჯმენტის მიერ შემდეგი ფაქტორების გათვალისწინებით:

ა) შესაძლებელია მთლიანი კონტრაქტის ღირებულების საიმედოდ შეფასება;

სს „ენერგოსერვისი“

ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ბ) სავარაუდოა, რომ კონტრაქტთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში;

გ) შესაძლებელია როგორც კონტრაქტის მთლიანი დანახარჯის, ასევე კონტრაქტის დასრულების ეტაპის პერიოდის ბოლოს საიმედოდ შეფასება;

დ) შესაძლებელია კონტრაქტის ხარჯის გარკვევით იდენტიფიცირება და კონტრაქტზე მიკუთვნება, ისე რომ შესაძლებელი იყოს რეალური კონტრაქტზე გაწეული ხარჯების შედარება წინა შეფასებებთან.

4. სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილება

ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში არ გამოვლენილა. შესადარი ინფორმაცია დარჩა უცვლელი წინა სააღრიცხვო პერიოდის შემდგომ.

5. ძირითადი საშუალებები

	მიწა	შენობა- ნაგებობები	მანქანა- დანადგარები	ავიჯი და ოფისის ალჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	არამატერიალური აქტივები	სულ
31 დეკემბერი 2020	10000	67710	523639	26648	472141	2790	1102928
შემოსვლა			9807	932			10739
გადაფასება							
გასვლა			-2948	-2300	-9000		-14248
31 დეკემბერი 2021	10000	67710	530498	25280	463141	2790	1099419
ცვეთა და გაუფასურება							
31 დეკემბერი 2020		-39891	-271619	-21140	-321769	-697	-655116
პერიოდის ცვეთა		-970	-14357	-1175	-10561	-698	-27761
გასვლა			2021	2093	8896		13010
31 დეკემბერი 2021		-40861	-283955	-20222	-323434	-1395	-669867
წმინდა საბალანსო ღირებულება							
31 დეკემბერი 2020	10000	27819	252020	5508	150372	2093	447812
31 დეკემბერი 2021	10000	26849	246543	5058	139707	1395	429552

31.12.2021 - ის მდგომარეობით საშუალებები შეფასებულია თვითღირებულების მოდელით.
ცვეთის მეთოდი: წრფივი.

6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	31-დეკ-21	31-დეკ-20
სავაჭრო მოთხოვნები მიწოდებიდან	401,702	246,096
გაცემული ავანსები	23,234	26,679
სხვა მოთხოვნები	-	-
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	-	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	424,936	272,775

26 სექტემბერი, 2022

თბილისი, საქართველო

შენიშვნები 6-15 გვერდებზე წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სს „ენერგოსერვისი“

ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

7. ფული და ფულის ექვივალენტები

	31-დეკ-21	31-დეკ-20
ფული სალაროში	87	231
ფული საბანკო ანგარიშებზე	943,035	730,665
სულ	943,122	730,896

8. სასაქონლო მატერიალური მარაგი

	31-დეკ-21	31-დეკ-20
ნედლეული და მასალები	176,862	169,687
დაუმთავრებელი წარმოება	-	-
მზა პროდუქცია	3,043	3,527
სულ	179,905	173,214

9. კაპიტალი

	31-დეკ-21	31-დეკ-20
კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	1,597,746	2,278,498
მოგება წლის განმავლობაში (მთლიანი სრული შემოსავალი)	341,156	11,286
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	(131,580)	(692,038)
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	1,807,322	1,597,746

10. სავაჭრო და სხვა მიმდინარე ვალდებულებები

	31-დეკ-21	31-დეკ-20
სავაჭრო ვალდებულებები	10,902	16,545
ვალდებულება ფიზიკური პირების წინაშე გარდა თანამშრომლებისა		
მიღებული ავანსები	97,368	
სულ	108,271	16,545

11. შემოსავალი

	2021	2020
შემოსავალი საქონლის გაყიდვიდან	773,341	100
შემოსავალი მომსახურების გაწევიდან	1,127,378	394,304
სხვა შემოსავალი		
სულ	1,900,719	394,404

26 სექტემბერი, 2022

თბილისი, საქართველო

შენიშვნები 6-15 გვერდებზე წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სს „ენერგოსერვისი“

ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

12. წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან

	2021	2020
არასაოპერაციო შემოსულობა (სავალუტო ოპერაციებიდან)	36,876	159,286
არასაოპერაციო ხარჯი (სავალუტო ოპერაციებიდან)	(66,220)	(78,769)
სულ	(29,344)	80,517

13. სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)

	2021	2020
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	17,809	5,599
ძირითადი საშუალებების ჩამოწერა/გასვლა	(1,237)	(230)
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	(3,813)	(4,685)
სულ	12,759	684

14. თვითღირებულების ხარჯი

	2021	2020
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	(608,932)	(36)
მასალის ხარჯი	(219,267)	(77,151)
მომსახურებები	(60,012)	(130,809)
სხვა ხარჯები	-	-
სულ	(888,211)	(207,996)

15. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი

ადმინისტრაციული ხარჯები	2020	2020
ბანკის მომსახურების ხარჯები	(1,816)	(2,000)
კომუნალური ხარჯები	(3,078)	(2,161)
საკანცელარიო ხარჯები	(261)	(356)
სამეურნეო ხარჯი	(108)	(68)
კომუნიკაციის ხარჯები	(4,012)	(3,865)
სხვა ხარჯები	(1,277)	(1,276)
წარმომადგენლობითი ხარჯი	(6,184)	(3,016)
სხვა საგადასახადო ხარჯები	(6,195)	(5,064)
საპენსიო ხარჯი	(7,318)	(3,749)
სულ ადმინისტრაციული ხარჯები	(30,249)	(21,555)

16. მოგების გადასახადი

2016 წლის ივნისში საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში კორპორატიული საშემოსავლო გადასახადის მიმართ ამოქმედდა ცვლილებები. ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან ყველა ქართული კომპანიისთვის, გარდა ბანკების, სადაზღვეო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების, რომელთათვისაც აღნიშნული კანონი ძალაში შევიდა 2019 წლის 1 იანვრიდან. ახალი რეგლამენტის მიხედვით, საშემოსავლო

26 სექტემბერი, 2022

თბილისი, საქართველო

შენიშვნები 6-15 გვერდებზე წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სს „ენერგოსერვისი“

ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

გადასახადი დაკისრებულია მოგებაზე რომელიც განაწილებულია დივიდენდების სახით აქციონერებზე, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები. დივიდენდების განაწილებაზე გადასახდელი მოგების გადასახადის ოდენობა განისაზღვრება წმინდა განაწილების მოცულობის 15/85-ით. კომპანიებს შესაძლებლობა ექნებათ 2008-2016 წლებში მიღებული აღნიშნული სახის საშემოსავლო გადასახადი გადაიხადონ მიმდინარე რეგულირების შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი საშემოსავლო გადასახადის ოდენობით. დივიდენდების განაწილება საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის არ ექვემდებარება აღნიშნულ საშემოსავლო გადასახადს.

17. პირობები და ვალდებულებები

კომპანიის ხელმძღვანელობა საკუთარი შეფასებისა და შიდა პროფესიული რჩევების საფუძველზე მიიჩნევს, რომ მატერიალურ დანაკარგებს არ ქონია ადგილი და შესაბამისად ფინანსურ ანგარიშგებაში არ აღნიშნულა არავითარი დებულება ამასთან დაკავშირებით.

საგადასახადო კანონმდებლობა

კომპანია მოქმედებს საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად და განსაღვრულ ვადებში იხდის კუთვნილ გადასახადებს, შესაბამისად 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას საგადასახადო ვალდებულებები არ აქვს.

საინვესტიციო ვალდებულებები

კომპანიას არ აქვს საინვესტიციო ვალდებულებები 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით .

18. მენეჯმენტის ანაზღაურება

მენეჯმენტის (კომპანიის მართვაზე პასუხისმგებელი პირები - გენერალური დირექტორი, გენერალური დირექტორის მოადილე და ფინანსური დირექტორი) ანაზღაურება - ხელფასი საანგარიშგებო პერიოდების მიხედვით შეადგენს: 2021 წ. - 341,221 ლარი; 2020 წ. - 149,069 ლარი.

19. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომზადარი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ დასკვნის გაშვებამდე მნიშვნელოვანი მოვლენები არ დაფიქსირებულა.